ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №41

23.04.2024 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11: 30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-032405959-03; 28.02.2024);

2. „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410226-03; 11.04.2024);

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410953-03; 18.04.2024).

მომხსენებელი:

- **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-032405959-03; 28.02.2024):**

ლ.მიქავა - წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 688,534.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 786,689.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.8%.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 628,434.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 691,413.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 103.9% და მთლიანი შემოსულობების 94.7% შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 443,206.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (456,112.8 ათასი ლარი) 97.2%-ია, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 345.2 ათასი ლარი. სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 442,735.6 ათასი ლარი, მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 440,000.0 ათასი ლარი (მათ შორის თბილისის მასშტაბით არსებული ქუჩების/გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, თბილისის მუნიციპალური ქონების დაცვის მიზნით ვიდეო სამეთვალყურეო კამერების, აუდიო სისტემების, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შეძენა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (მათ შორის შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება)), M3 კატეგორიის ავტობუსების (160 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად საავანსო ვალდებულების დაფარვა, ვაგონების მოდერნიზაციის სამუშაოები, ახალი ავტობაზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსის დასაფარად,

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 23,059.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (18,095.0 ათასი ლარი) 127.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 16,342.1 ათასი ლარი) შედარებით 6,717.6 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 2,400.2 ათასი ლარი

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 123,490.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (111,747.7 ათასი ლარი) 110.5%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 81,366.6 ათასი ლარი) შედარებით 42,123.7 ათასი ლარით მეტია. მათ შორის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 62,543.0 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 19,024.3 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 1,664.7 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 3,638.2 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 10,566.3 ათასი ლარი, საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 231.9 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 3,260.9 ათასი ლარი,

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 619,266.4 ათასი ლარით. „სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 276,285.6 ათასი ლარი

სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 37,295.9 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (37,917.3 ათასი ლარი) 98%-ია. თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება 2023 წელს დაფინანსდა 12 108,6 ლარით. თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 18 889,9 ათასი ლარით. მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) - 69,5 ათასი ლარით. თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი - 262,9 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტი დაფინანსდა** 547,439.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (565,829.4 ათასი ლარი) 96.7%-ია;

პრიორიტეტის ფარგლებში, დაფინანსდა შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები:

- **ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (01 02)** - 422,639.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 435,322.8 ათასი ლარის 97.1%-ი). პროგრამის ფარგლებში ქვეპროგრამა **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01)** - 56,392.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 34,280.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 83.8%-ია. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, ზღუდარები, ბარიერები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო

სამუშაოები. დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დატანილი იქნა 87774.94 კვ.მ. (მათ შორის შპს თბილსერვის ჯგუფის მიერ - 19033 კვ.მ) ჰორიზონტალური/ვერტიკალური (14386.35 - კვ.მ თერმო პლასტით, 41351.41 - კვ.მ ცივი პლასტით, 32037.18 კვ.მ აკრილის საგზაო საღებავი) საგზაო მონიშვნები. თბილისის ქუჩებზე და მაგისტრალებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით მიმდინარეობს მცირე ინფრასტრუქტურული პროექტირება მშენებლობა-რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები, (ეწყობა: პანდუსები, ტროტუარები, უსაფრთხოებისა და მიმმართველი კუნძულები, ასფალტ-ბეტონის საფარი და ა.შ.).

საბურთალოს რაიონში (საკადასტრო კოდი 01.10.16.004.306) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდა სპეციალური დაცული სადგომის მოწყობა ღირებულებით - 1,122.0 ათასი ლარი (2022 წელს გაცემული იყო წინასწარი ანგარიშსწორება ღირებულებით 1,065.9 ათასი ლარი).

მუნიციპალური ავტობუსების (18 მეტრიანი) პარკისთვის ახალი ავტობაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს "Construction Service"-თან გაფორმებული ხელშეკრულებით (60 495 906 ლარი) გათვალისწინებული ავანსის დასაფარად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 12 ივლისის №23.1045.1138 და 20 დეკემბრის №23.2009.2241 განკარგულებების საფუძველზე შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო 20,500.0 ათასი ლარი.

- **ქვეპროგრამა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) -** 2023 წლის გეგმა - 85,962.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 73,679.8 ათასი ლარი). საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“, მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოძველებული ვაგონების განახლება-მოდერნიზების მიზნით. საშუალო და კაპიტალური შეკეთება, მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდა 8 ერთეულ 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 10 ერთეული 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონს. დაფარულია შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და შპს თეგეტა მოტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (160 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენა) განსაზღვრული საავანსო ვალდებულების ნაწილი.

- **მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (01 02 03) -** 2023 წლის გეგმა - 4,000.0 ათასი ლარი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), დაფინანსდა 100%-ით. დასრულდა მ/ს „გოცირიძე“ რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის დაუმთავრებელი ნაწილის სამუშაოები (სადგური გაშვებული იქნა ექსპლუატაციაში), გრძელდება მ/ს „ვარკეთილის" და მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები.

- **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (01 02 05) -** 278,060.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 276,285.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა). M2 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელი იურიდიული პირები დაფინანსებულია ბიუჯეტის სახსრებით - 4,834.1 ათასი ლარით, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 137,773.4 ათასი ლარით, მათ შორის: შპს კაპიტალ გრუპი - 24,640.1 ათასი ლარი (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან), შპს თბილ ლაინი – 63,517.5 ათასი ლარი (მათ შორის სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 58,683.4 ათასი ლარი), შპს თბილ ქარი - 22,452.1 ათასი ლარი (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან) და შპს ფაბლიქ ქარი - 31,998.1 ათასი ლარით (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან). ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის 1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 743 ერთეული), რეისები ხორციელდება 160 სამარშრუტო ხაზზე.

  მიმდინარე პერიოდში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 167 616 372 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 152 940 642 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (147397 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (243559 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1 674 887 მგზავრი) გადაყვანილია 2 065 843 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 84 488 355 მგზავრი.

- **სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის (10 18) -** საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 15,572.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 12,785.3 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 2.6 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.1% და 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5,945.7 ათასი ლარით მეტია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-032405959-03; 28.02.2024) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410226-03; 11.04.2024):**

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M_2 ან M_3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 5 აპრილის №24.576.659 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 ან M_3 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 5 აპრილის №24.576.659 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 ან M_3 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 3-ის შესაბამისად.“

აღსანიშნავია, რომ დანართი 2-ით მტკიცდება იმ სკოლების ავტობუსების მარშრუტები, რომლებმაც სათანადო წესით მიმართეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

კერძოდ, მოსწავლეთა მომსახურების, კომფორტული და უსაფრთხო სამგზავრო გადაყვანის მიზნით საჭიროა განხორციელდეს სპეციალური რეგულარული გადაყვანა, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“):

ა) შპს „ევროპული სკოლის“ M_3 კატეგორიის არაუმეტეს 9 ერთეული ავტობუსით, თანდართული მარშრუტით;

ბ) შპს „ბრიტანულ ქართული აკადემიის“ M_3 კატეგორიის არაუმეტეს 6 ერთეული ავტობუსით (ერთი წარმოადგენს რეზერვს), თანდართული მარშრუტით;

გ) შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის“ M_2 და M_3 კატეგორიის არაუმეტეს 8 ერთეული ავტობუსით (ერთი წარმოადგენს რეზერვს), თანდართული მარშრუტით.

დანართი 3-ით მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში“ შესაბამისი განცხადებები აქვთ წარდგენილი:

ა) შპს „ბრიტანულ ქართულ აკადემიას“ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს 60 დასაქმებული პირის გადაყვანას და დასაქმებულები გადაჰყავს M3 კატეგორიის 1 (ერთი) ერთეული ავტობუსით));

ბ) შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლას“ (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს 60 დასაქმებული პირის გადაყვანას და დასაქმებულები გადაჰყავს M3 კატეგორიის 1 (ერთი) ერთეული ავტობუსით));

გ) სსიპ საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (ცენტრი ახორციელებს დასაქმებულთა გადაყვანას, რომელთა რაოდენობა შეადგენს 110-120 ადამიანს. ცენტრს დასაქმებულები გადაჰყავს M3 კატეგორიის 4 (ოთხი) ერთეული ავტობუსით));

დ) შპს „შარმ ტრეიდინგ“-ს (კომპანია ახორციელებს დასაქმებულთა გადაყვანას, რომელთა რაოდენობა შეადგენს 63 (სამოცდასამ) ადამიანს და კომპანიას დასაქმებულები გადაჰყავს M3 კატეგორიის 1 (ერთი) ერთეული ავტობუსით)).

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №35-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410226-03; 11.04.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410953-03; 18.04.2024):**

დ.ჯაიანი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დადგენილების სათაური, პირველი და მე-2 მუხლები ყალიბდება ახალი რედაქციით.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75–ე მუხლის „ე.დ“ და „ე.ე[1]“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორიების) მოძრაობის მარშრუტებს და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში იმ გზების ჩამონათვალს, რომლებზედაც ავტობუსები (M2 და M3 კატეგორიები) მხოლოდ ავტობუსების გაჩერების ადგილებზე გაჩერდებიან.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა არის „შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით მგზავრთა გადაყვანა; რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით დადგენილი მარშრუტების გათვალისწინებით; შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი მარშრუტით მგზავრთა გადაყვანა, რომელიც დაიწყო და დამთავრდა ერთი და იმავე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საგზაო ინფრასტრუქტურის თავისებურების ან/და რელიეფის გამო სხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთით“.

მგზავრთა დიდი ნაკადის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა ახალი მარშრუტის შეთანხმება ქალაქ რუსთავიდან დედაქალაქის მიმართულებით. მარშრუტი გულისხმობს მგზავრთა გადაყვანას M3 კატეგორიის ავტობუსებით უკვე თბილისის სპორტის სასახლის მიმართულებითაც (მარშრუტი: ცოტნე დადიანის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - მარჯვენა სანაპირო - ვახტანგ გორგასლის ქ. - მეტეხის ხიდი - ევროპის მოედანი - ნოე ჟორდანიას სანაპირო - კოსტა ხეთაგუროვის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - გმირთა მოედანი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - ვახტანგ ჭაბუკიანის ქ. - პეკინის გამზირი - 26 მაისის მოედანი - კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი - გმირთა მოედანი - ზვიად გამსახურდიას სანაპირო - ვახტანგ გორგასლის ქ. - რუსთავის გზატკეცილი - ცოტნე დადიანის ქ.).

ზ/ა ლოკაცია აერთიანებს სხვადასხვა საჯარო, კერძო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შესაბამისად, ახალი მარშრუტის დაწესებით, განხორციელდება მგზავრთნაკადის განტვირთვა, სწრაფი და კომფორტული გადაადგილება, ხელმისაწვდომი ტარიფით.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3

კატეგორია) მარშრუტის, აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზების ჩამონათვალისა და მათზე რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორიები) გაჩერების ადგილების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032410953-03; 18.04.2024) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე